



გორის სულხან ცინცაძის
სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-
ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის
დირექტორის ბრძანებით N1/51

20.07.2020

შეთანხმებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან
ოქმი N4 11.12.2022

ცვლილება შესულია ბრძანება
N108 პუნქტი 1, 12.12.2022

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის

სამუსიკო კოლეჯის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2020-2026 წლები

ქ.გორი

საკონტაქტო ინფორმაცია:
სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი ქ.გორი,
სამეფო ქ. N17
ტელ.: 0(370) 27 35 11; 0(370) 27 35 11;
ელ.ფოსტა: gori.college@yahoo.com
ვებგვერდი: www.gorimuscollege.edu.ge

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული გეგმა კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების ხედვისა და შეფასების შესწავლის შედეგია. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა გუნდისა და ადმინისტრაციის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო, ისევე როგორც მათ შეთანხმებულ მუშაობას კოლეჯის მისიის განსახორციელებლად. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობითა და სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებით.

სტრატეგიული გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2020-2026 წლებში. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლების სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც სასწავლებელი ცდილობს, ნათლად ჩამოაყალიბოს საკუთარი სამომავლო გეგმები და გააცნოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რათა ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

კოლეჯის შესახებ

ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი დიდი ტრადიციების მქონე, დღეს კი ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სამუსიკო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯის მიზანია, ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებით, უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი მასწავლებლებისა და კონცერტმასიტერების მიერ სწავლების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების დანერგვით 2026 წლისთვის იქცეს წამყვან სასწავლო დაწესებულებად, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული სამუსიკო განათლების

მაღალ ხარისხსა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. გარდა ამისა, კვლავ იქცეს რეგიონის კულტურულ ცენტრად, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის ახალგაზრდობის სულიერ განვითარებაში.

ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის, საქართველოში ერთადერთი მონოპროფილური, სამუსიკო მიმართულების კოლეჯის მისიაა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

ხედვა

2026 წლისათვის სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი, არის სამუსიკო მიმართულების წამყვანი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია მაღალი ნდობა და აღიარება და რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფს სამუსიკო სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის აღმოფხვრას.

ღირებულებები

სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
გუნდური მუშაობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი.

დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯი ეტაპობრივად უზრუნველყოფს:

- ა) სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;
- ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;
- გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, რაც პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით განხორციელდება; დ) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებას;

- ე) ტრენინგურებისა და პროგრამების განხორციელებას არაფორმალური განათლების ფარგლებში;
- ვ) სკოლისგარეშე სახელოვნებო (სამუსიკო) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- ზ) თანამშრომლობას სამუსიკო მიმართულების უმაღლეს სასწავლებლებთან, სამუსიკო კავშირებთან, გაერთიანებებთან სემოქმედებით კოლექტივებთან.
- თ) პედაგოგებისა და პერსონალის მუდმივ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.
- ი) პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემოქმედებით და საკონცერტო საქმიანობას.

კოლეჯის ფუნქციაა:

- ა) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ბ) შექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;
- გ) უზრუნველყოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ე) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით თანასწორად სარგებლობა;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;

- ზ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობა;
- თ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ამ მიზნით აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;
- ი) ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას როგორც კოლეჯის ფარგლებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში;
- კ) ხელი შეუწყოს საქართველოს და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და უცხო ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ლ) განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები, რომლებიც პერიოდულად ახლდება.

მიზანი: კოლეჯში საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება :

ა) არსებული რესურსების შეფასება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხით განსახორციელებლად კოლეჯში მუშაობენ უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიულ განათლების მასწავლებლები და კონცერტმასიტერები. მიუხედავად ამისა, ხდება კადრების სისტემატური გადამზადება ადგილზეც და სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებზეც. დღევანდელი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, მონაწილეობენ ონლაინ-ტრენინგებსა და შეხვედრებში, დარგობრივ ჯგუფებში. მიუხედავად დიდი სირთულისა, რაც საშემსრულებლო პროფესიული მოდულების ონლაინ სწავლებასთანაა დაკავშირებული, ეძებენ გზებს, მეთოდებს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის.

კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი ყველა მუსიკალური ინსტრუმენტით, ხმის ჩამწერი, და აუდიო-ვიდეო ტექნიკით, სალექციო აუდიტორიებით, , კომპიუტერული აუდიტორიით და დიდი და

მცირე საკონცერტო დარბაზით. საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო იძლევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების კარგ შესაძლებლობას. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები მუნიციპალიტეტთან არსებული შესაბამისი დარგის გაერთიანებებსა და სააგენტოსთან. ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისა და დამატებითი აღჭურვის საკითხებში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სამინისტროსთან.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილი - კოლეჯს 2011 წლიდან (2016 წელს განმეორებით) მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯი არის სამუსიკო პროფილის ერთადერთი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამუსიკო ხელოვნების კონცენტრაციებზე დაფუძნებულ იმ ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც დღეისათვის არსებობს. ესენია:

პიანისტ-აკომპანიატორი-კვალიფიკაციის კოდი 0215 (2020 წელს იქნება პირველი მიღება)

1. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 144 კრედიტი, ხანგრძლივობა 28 თვე
2. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 174 კრედიტი, ხანგრძლივობა 33 თვე და მუსიკის რეპეტიტორი-კვალიფიკაციის კოდი 0215,
 1. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 108 კრედიტი, ხანგრძლივობა 20 თვე
 2. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 138 კრედიტი, ხანგრძლივობა 25 თვე

კვალიფიკაცია- უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში / Higher Vocational Qualification in Music Art. კოლეჯის მიზანია, მომავალში კვლავაც შეინარჩუნოს პროფილი და იზრუნოს სამუსიკო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის ახალი კონცენტრაციების შესაქმნელად და დასანერგად.

ამ სტრატეგიული ხედვის განხორციელების პროცესში კოლეჯი ითვალისწინებს არსებულ შესაძლებლობებსა და რისკებს.

სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია, გამოყენებული ინსტრუმენტები

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, შემუშავდა „სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის წარმომადგენლები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული და სხვა დაინტერესებული პირები.

კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი გეგმის განხორციელება შესაძლებელია კოლეჯის, დაინტერესებული პირების, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო პარტნიორების, ასევე დამსაქმებლების ერთობლივი თანამშრომლობით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N114/ნ ბრძანებით დაფუძნდა ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის უფლებამონაცვლედ. რომელიც, თავის მხრივ, 55 წლიანი ტრადიციების მქონე საშუალო სპეციალური სასწავლებლის-გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უფლებამონაცვლედ დაფუძნდა 2011 წელს. 2018 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაერთიანებამ კოლეჯის სახელწოდების, წესდებისა და დაფინანსების წესის შეცვლამ გამოიწვია კოლეჯის 2017-2022წწ. ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შეცვლის საჭიროება (2019-2024 წლები), ხოლო ახალი პროფესიული სტანდარტების დამტკიცებისა და სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ საჭირო გახდა ახალი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება (2020-2026 წლები).

SWOT ანალიზი

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული

SWOT-ანალიზი. SWOT -ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

Strengths - ძლიერი მხარეები	Weakness - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიციური, შედეგებზე ორიენტირებული სწავლება; სწავლების ხარისხის მაღალი დონე, მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების გამოყენება; • თანამედროვე ლიტერატურით (წიგნები ბეჭდური და ელექტრონული მატარებლებით) აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • გამართული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; მუსიკალური ინსტრუმენტები; • პროფესიონალიზმი; • იმიჯი და რეპუტაცია; • სანდოობა და და ხარისხი; • ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფა; <p>კეთილმოწყობილი და მეგობრული გარემო</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ სტუდენტთა გადინება; • სამუსიკო მიმართულების მოდულური პროგრამების სიმცირე (მხოლოდ 2 პროფესიული პროგრამა) • ახალგაზრდა კადრების სიმცირე. • პროფესიული სტუდენტების სიმცირე; • სამუსიკო მიმართულების პროფესიებისადმი ნაკლები ინტერესი დაბალი ანაზღაურების გამო
Opportunities -შესაძლებლობები	Threats -საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული განათლების რეფორმის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა; • პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება <p>(ტრენინგების /კურსების სისტემატური გავლა);</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხშირი ცვლილებები პროფესიული განათლების სისტემაში; • პროფესიული სტუდენტების და კადრების გადინება; • ახალი კონკურენტების გამოჩენა; • ახალგაზრდა კადრების დეფიციტი

- მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების მოზიდვა
- დამსაქმებლებთან კავშირის გაძლიერება და სამუშაო ადგილების მოძიება;
- პროფესიული სტუდენტების სისტემატური ჩართულობა პროექტებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში;
- უწყვეტი შემოქმედებითი კონტაქტი პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან;
- დისტანციური სწავლების სხვადასხვა სახეების დანერგვა(ონლაინ-სწავლება, ჰიბრიდული მეთოდი, კომბინირებული და ა.შ.)
- სამუსიკო მიმართულების ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა
- შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვა;

- ეკონომიკური კატაკლიზმები.
- სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;
- ფორს-მაჟორულ პირობებში(პანდემია და სხვა) სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სირთულე

შესაძლებლობები: მზარდი მოთხოვნა პროფესიონალ კადრებზე სამუსიკო სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სტუდიებში კონცერტმაისტერებზე, მუსიკის რეპეტიტორებზე. დღეს ამ სფეროში დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა საპენსიო ასაკს არის გადაცილებული, ახალი კადრების მომზადება კი ჩვენი კოლეჯის გარდა არსად არ ხდება, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, არსებობის შემთხვევაში, დაიმატოს ახალი პროგრამები სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინებით.

სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა: პროფესიული განათლების ეფექტური რეფორმა, ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა კულტურის სტრატეგიის მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა სტრატეგიული პროექტებისათვის: საქართველოს მთავრობის კულტურის სტრატეგიაში, კულტურის

განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიულ გეგმაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის სახელოვნებო პროფესიული განათლების სისტემის საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფას სახელოვნებო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, ამ სფეროში არსებული ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემების არსებობის გამო ფერხდება შესაბამისი სტანდარტებისა და პროფესიული განათლების ახალი კვალიფიკაციების დამატება და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს სახელოვნებო(სამუსიკო) განათლების პრობლემებზე მომუშავე ჯგუფებთან სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. გეგმავს, კვლავაც აქტიურად გამოიყენოს დამსაქმებელთა ინტერესი და მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებლებთან, რაც ერთობლივი ინიციატივების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის, კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის, და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის სამუსიკო ხელოვნების სფეროს წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

კონკურენტების სიმწირე: ამ ეტაპისათვის კოლეჯი სამუსიკო პროფილის ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, შესაბამისად, არ ჰყავს მნიშვნელოვანი კონკურენტები ბაზარზე, რაც ზრდის მოტივაციას და დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას.

რისკები: სამუსიკო-საგანმანათლებლო სტანდარტების სიმცირე, სამუსიკო განათლების სფეროში მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა: კოლეჯში დიდი მოთხოვნაა ახალგაზრდა კადრებზე, მათ მოსაზიდად კი საჭიროა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გაზრდა. ბაზარზე მოთხოვნის ზრდასთან და სამუსიკო სფეროში მოღვაწე მუსიკოს-შემსრულებელთა ანაზღაურების ზოგად ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს მათი კოლეჯში საქმიანობის შესაბამისი ღირებულებაც.

კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიულ გეგმის პრიორიტეტებია.

მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება, მენეჯმენტის ახალი სისტემისა და სტანდარტების ჩამოყალიბება, რომლებიც კოლეჯის მენეჯმენტს გახდის მეტად მოქნილს, ეფექტიანს და მუდამ მზადმყოფს, რომ სწრაფად მოახდინოს ნებისმიერ საკანონმდებლო ცვლილებაზე სწრაფი რეაგირება და ყოველდღიურ საქმიანობაში ასახვა.

სწავლების მიწოდების ხარისხის ზრდა:

სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა ახალი, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დასაწერად.

ამისთვის: კოლეჯის თანამშრომლობა სამინისტროსთან სამუსიკო სკოლისგარეშე განათლების სტანდარტისა და ხარისხის ცენტრთან მისი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში;

მოდულურ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით კოლეჯის სამუსიკო დისციპლინების პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგები კონსერვატორიისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე;

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სასწავლო მუსიკალური კომპიუტერული პროგრამების მოძიება და გამოყენება, კოლეჯის კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის უფრო მაღალ დონეზე აყვანა, კოლეჯში არსებული კომპიუტერული ტექნიკის მონაცემები და რაოდენობა არ არის საკმარისი ახალი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებისათვის; ტექნიკური აღჭურვილობის განახლება,

სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება: პედაგოგთა გადამზადება მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასასვლელად;

ონლაინ და დისტანციურ სწავლებაზე გადასასვლელად მოდულების ნაწილის მოდიფიცირება და მათი განხორციელება; განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან კოლეჯის მუდმივი კონტაქტები საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფისა და ხარისხის ამაღლების მიზნით;

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების არსებობის პარალელურად ხარისხის ახალი სტანდარტების შემუშავება კოლეჯის შიგნით და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასებისა და გამოკითხვის ინსტრუმენტებისა მუდმივი სრულყოფა და კითხვარების შემუშავება. სტრატეგიული გეგმის თანახმად, კოლეჯში ხარისხის შიდა მიზნების განსაზღვრა და შიდა შეფასების ციკლური სისტემის ამოქმედება. პროგრამების ხარისხის შიდა სტანდარტებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საწარმოო (საშემსრულებლო) პრაქტიკის ხელმისაწვდომობისა და პროფესიულ სტუდენტებში სამეწარმეო უნარების განვითარებისა და კარიერის დამოუკიდებლად დაგეგმვის საკითხებზე.

კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და კონცერტმასიტერთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

შემოქმედებითი და საქმიანი ხასიათის ურთიერთობების გაგრძელება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და საქართველოს სხვა სახელოვნებო სასწავლებლებთან, მათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან კოლეჯის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით; ერთობლივი პროექტების განხორციელება და თანამონაწილეობა. რეგიონის სამუსიკო სკოლების მასწავლებლებისათვის კოლეჯის ბაზაზე ტრენინგების ჩატარება;

კოლეჯის კურსდამთავრებულებთან და მათ დამსაქმებლებთან სისტემატური კონტაქტი და დასაქმების ანალიზის მიხედვით კონტინგენტის შემდგომი დაგეგმვა;

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა არის კოლეჯის ერთ-ერთი გამოწვევა. პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატიურად ტარდება შეხვედრები პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება ნამდვილად არის დასაქმების წინაპირობა. მუშაობის გაძლიერება დამსაქმებელთან, პროფორიენტაციის ღონისძიებები, აქტივობები ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში ყველა დაინტერესებული პირისათვის, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას. ხდება ინფორმაციის მოძიება გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად, კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება პარტნიორი დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით და სხვა. ეწყობა კოლეჯის აკადემიური და საჩვენებელი კონცერტები.

2020-2026 წლებში კოლეჯის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია გორის სამუსიკო კოლეჯისათვის შიდა ქართლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დაბრუნებული ფუნქციების გამყარება (რეგიონში გასვლითი კონცერტების მოწყობა, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზება და კონცერტებისა და სადამოების მოწყობაში დახმარების გაწევა). ნიჭიერი მოზარდებისა და ახალგაზრდების გამოვლენა და მათ პროფორიენტაციასა და შემდგომ კარიერაზე ზრუნვა; დაწყებითი რგოლის სამუსიკო საგანმანათლებლო და ფართოპროფილიან დაწესებულებებთან ტრადიციული შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობის კოორდინირება და ხელშეწყობა. შიდა ქართლის სამუსიკო სკოლების განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და მათ შემდგომ განათლებაზე ზრუნვა, მასტერ-კლასებისა და კონცერტების ორგანიზება კოლეჯის დარბაზში, მოწვევა სწავლის გასაგრძელებლად სამუსიკო სემინარიასა და კოლეჯში).

სასწავლო პროცესში საშემსრულებლო და სასწავლო პრაქტიკის როლის გაძლიერება; კონკურსების, მასტერ-კლასებისა და მეთოდური სემინარების ჩატარება, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა; კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონცერტებისა და კონფერენციების ჩატარება;

კოლეჯის საგუნდო კოლექტივების მაღალმა დონემ და მისი პარტნიორის-გორის ქალთა კამერული გუნდის ავტორიტეტმა განაპირობა 20 წლის წინ შეწყვეტილი გორის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის აღდგენა. კოლეჯის საგუნდო დირჟორობის მიმართულების, რომელიც საქართველოში საუკეთესო პროფესიული კადრებით არის დაკომპლექტებული, და, სამწუხაროდ, გუნდის ლოტბარის/რეგენტის პროფესიული პროგრამა გაუქმდა, ამის მიუხედავად პრიორიტეტია საერთაშორისო შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება საუკეთესო კამერულ და ბავშვთა საგუნდო კოლექტივებთან)

კოლეჯის ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის სისტემატური გამდიდრება ახალი, თანამედროვე სასწავლო ლიტერატურითა და აუდიო-ვიდეო მასალით. ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო პროგრამის შექმნა და ელექტრონული კატალოგის ამოქმედება;

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ ჩატარებული კონცერტებისა და საღამოების ელექტრონული არქივის მოწესრიგება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები;

კოლეჯის ინფრასტრუქტურა: კოლეჯის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება. კოლეჯის შენობა, აუდიტორიები, სათანადო კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით, ფონოკაბინეტი, კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი პროფესიული სტუდენტებისათვის სარეპეტიციო და საკონცერტო (დიდი და მცირე) დარბაზები, ბუფეტი, რომელთა განახლება თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით კოლეჯის ძირითადი სასწავლო, საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა. რის განხორციელებასაც კოლეჯი სამინისტროს დახმარების გარეშე ვერ შეძლებს.

შესაძლებლობები: მატერიალური-ტექნიკური ბაზის შევსება ახალი ტექნიკური აღჭურვილობით;

კოლეჯის შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება: აუდიტორიების კარების შეცვლა თანამედროვე დიზაინის, ხმაგაუმტარი მასალის კარებით, ინტერიერის კოსმეტიკური რემონტი, ფასადის განახლება, ეზოს კეთილმოწყობა, პატარა სპორტული მოედნის მოწყობა;

დიდ საკონცერტო დარბაზში გათბობის სისტემაზე თანამედროვე სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება; კლავიშებიანი და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების მოწესრიგება; სამინისტროს დახმარებით ახალი როიალის შექმნა საკონცერტო დარბაზისათვის; კოლეჯის ტექნიკური აღჭურვილობის სისტემატური შევსება და განახლება;

ხმის ჩამწერი აპარატურის განახლება; მეორე სართულზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და გადაადგილების პირობების შექმნის შესაძლებლობების მოძიება და განხორციელება;

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა პერსპექტივაში მიზნად ისახავს მის განვითარებას, სწავლისა და შრომის, შემოქმედებითი საქმიანობის თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანას, პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაზე ზრუნვას.

სტრატეგიული გეგმის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, სახელმწიფო შეკვეთის და ხელშეკრულების შესრულებიდან მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტები და პარტნიორების დახმარებები. კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში. მათი განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება მის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვით და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

უსაფრთხოება და დაცულობა - დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ინვენტარი, გაწერილია შრომის უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი. შენობა აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს. მოქმედებს გადამზადებული საგანგებო სიტუაციების შტაბი, გამართულია დამხმარე ინფრასტრუქტურა. კოლეჯს 24-საათიან რეჟიმში იცავს სახელმწიფო დაცვის სამსახური. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაცულია და ძირითადი საშუალებების, ტექნიკის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება - სიტუაციის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს ინფრასტრუქტურული და პროგრამული განვითარების ახალი ღონისძიებები სამომავლო რისკების შემცირების მიზნით. რისკები: განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება. ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეები - პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვ.

ამრიგად, პროფესიული განათლების შესახებ კანონისა და ახალი პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების აღჭურვის, მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი სერვისების ჩამოყალიბება და შემუშავება. პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების დაგეგმვის არსებული ხედვა სწორია, (მუშაობის მთავარ პრინციპები, მნიშვნელოვან მიზნებსა და

ამოცანებზე ორიენტირება, ასევე მათი გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების დასახვა), რათა გაძლიერდეს დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. ის მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად და ხელს უწყობს გარე თუ შიდა, მ.შ. ადმინისტრაციული და პედაგოგიური რესურსების გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

N	ამოცანები	განხორციელების ვადები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რისკები	შენიშვნა
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026				
1.	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

სტრატეგიული მიზანი № 1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და ახალი პროგრამების შემუშავება-დანერგვაზე ზრუნვა, კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდაზე ზრუნვა

ახალი, განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დასამტკიცებლად წარდგენა;				v	v	v	v	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	სამუსიკო მომართულების ახალი სტანდარტების არარსებობა	
ახალი ჩარჩო - დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ;				v	v	v	v	დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტები სამუსიკო მიმართულების მოთხოვნადი პროფესიებისთვის	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	ახალი ჩარჩო-დოკუმენტის არარსებობა	
ბაზრის კვლევის შესაბამისად მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება/დანერგვა						v	v	შემუშავებული მოკლევადიანი სასერტიფიკატო მომზადება/გადამზადების პროგრამები და მათი განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი იურისტი	მსურველთა ნაკლები მოტივაცია	
მოკლე ციკლის ასოცირებული ხარისხის პროგრამების შემუშავება/დანერგვა							v	თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან თანამშრომლობით შემუშავებული მოკლე ციკლის პროგრამები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობა	

	პროფესიულ სტუდენტთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა,	v	v	v	v	v	v	v	პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დინამიკა ,	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი , პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;	კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების ნაკლები მოტივაცია (ანაზღაურების გამო)	
	სტუდენტების მოზიდვის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საქმიანობისა და მარეგულირებელი დოკუმენტაციის სრულყოფა - განახლება ;	v	v	v	v	v	v	v	შემუშავებული დოკუმენტაცია	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		
	სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით კოლეჯში სკოლისგარეშე სამუსიკო პროგრამების განხორციელება სამუსიკო თერთმეტწლედების პროგრამებით.	v	v	v	v	v	v	v	მოწესრიგებული დებულებები და მარეგულირებელი წესები, ჩარიცხვის და სასწავლო დოკუმენტაცია, მოსწავლეთა კონტინგენტის(110 მოსწავლე) კარგი სამემსრულებლო დონე, პროფესიულ პროგრამებზე ყოველწლიურად ჩარიცხული ყოფილი მოსწავლეები	კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი		
	სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება და მონიტორინგი ;	v	v	v	v	v	v	v	საწარმოო პრაქტიკის მემორანდუმები, ხელშეკრულებები და მონიტორინგის მასალები	კოლეჯის დირექტორი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი		
	კოლეჯის სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების კონფერენციების, ღია კონცერტების, კონკურსების ორგანიზება	v	v	v	v	v	v	v	ჩატარებული კონცერტების, კონკურსებში მონაწილეობის და წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტები, ღონისძიებების ვიდეოჩანაწერები, სოციალურ ქსელებში აქტივობის სქრინები ჩატარებული ადგილობრივი და გავლითი ღონისძიებების ანგარიშები, აფიშები, მასალები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		
	კოლეჯის ვებ -გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერმანენტული განახლება	v	v	v	v	v	v	v	კოლეჯის ვებ -გვერდისა და ფეისბუქ გვერდის ფაქტობრივი მდგომარეობა	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		
სტრატეგიული მიზანი №2 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა, კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება,												
1	კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების კორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა, გაწეული საქმიანობის პერიოდული ანალიზი, შეფასება	v	v	v	v	v	v	v	ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები	კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		

2	თვითშეფასების განხორციელება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად		v	v					თვითშეფასების ანგარიშები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები		
3	კოლეჯის ავტორიზაციისათვის მომზადება და ავტორიზაციის გავლა		v	v					კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭების გადაწყვეტილება	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები, იურისტი, მთავარი ბუღალტერი		
4	პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალის განვითარების მიზნით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების და ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება	v	v	v	v	v	v	v	ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გაცემული სერტიფიკატები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადამიანური რესურსების სპეციალისტი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი		
5	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა და სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი;	v	v	v	v	v	v	v	მონიტორინგის შედეგების ანალიზი, დასკვნები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		
6	სასწავლო პროცესის მართვის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება	v	v	v	v	v	v	v	გამოკითხვების შედეგები, ანალიზი, რეკომენდაციები, ავტორიზაციის, გარე მონიტორინგის შეფასებები	კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ,		
7	დისტანციური სწავლების უზრუნველყოფა	v	v	v					დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის ადაპტირებული პროფესიული პროგრამები სასწავლო გეგმა და მოდულები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ,		

სტრატეგიული მიზანი №3 ინფრასტრუქტურის განვითარება, კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მოტივირებასა და სტუდენტური სერვისების განვითარებაზე ზრუნვა.

1	კოლეჯის შენობის, მოწესრიგება, ინფრასტრუქტურის სისტემატური განახლება								განახლებული ინფრასტრუქტურა და მოწესრიგებული შენობა	კოლეჯის დირექტორი, მატერიალური რესურსების მენეჯერი შესყიდვების მენეჯერი , მთავარი ბუღალტერი	არასაკმარისი დაფინანსება	
---	---	--	--	--	--	--	--	--	--	---	--------------------------	--

2	კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა								კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტები	კოლეჯის დირექტორი, მატერიალური რესურსების მენეჯერი შესყიდვების მენეჯერი , მთავარი ბუღალტერი		
3	კოლეჯის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების სრულყოფა	v	v	v	v	v			უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით უზრუნველყოფილი კოლეჯის შენობა	კოლეჯის დირექტორი , მატერიალური რესურსების მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი		
4	შშმ და სსს მ პირებისთვის, დადგენილი სტანდარტების მიხედვით ადაპტირებული გარემოს შექმნა	v	v	v	v	v			შშმ და სს ს მ პირებისთვის დადგენილი სტანდარტების მიხედვით ადაპტირებული გარემო	კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , შესყიდვების მენეჯერი , მთავარი ბუღალტერი	არასტანდარტული, ძველი შენობის მრგვალი კიბეზე ლიფტის ან სხვა კონსტრუქციის მოწყობის სირთულე	
5	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა	v	v	v	v	v	v	v	ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესყიდვების და მასალა -ნედლეულის ხარჯვისა და უტილიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი , პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები , შესყიდვების მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი		

